



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2603 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების პირდაპირი
მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ნივთები პირდაპირი მიყიდვის ფორმით, თითოეული სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ ამავე დანართში მითითებულ ფიზიკურ პირებს.
2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული თითოეული უძრავი ნივთის საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე

